განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
სტომატოლოგია

შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

27.10.2021

08.12.2021

თბილისი, 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400270808
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია/Stomatology
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დენტალური მედიცინა Dental Studies, 0911
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალდიმერ მარგველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბეშკენაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვერა ხუნძაკიშვილი, კავკასიის. საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაკასარაშვილი, თბილისის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კენი ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სააკრედიტაციოდ წარმოადგინა ერთსაფეხურიანი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ***სტომატოლოგია***. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ქართულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში, მოიცავს შესაბამის სასწავლო კურსებს/მოდულებსა და კურაციებს, რომელიც ემსახურება როგროც ზოგადტრანსფერული, ისე დარგობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ფორმირებულია ორ ეტაპად, კერძოდ, პირველი ეტაპი - პრეკლინიკური, რომელმაც სტუდენტს უნდა მისცეს ფუნდამენტური სამედიცინო განათლება როგორც ჯანმრთელი ადამიანის, ისე ადამიანის დაავადებების საფუძვლების შესახებ, ხოლო მეორე ეტაპი - კლინიკური, უზრუნველყოფს სტუდენტების პრეკლინიკურ ეტაპზე მიღებული ცოდნის გამოყენებას და ჰორიზონტის მნიშვნელოვან გაფართოებას კლინიკური თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის განმახორციელებელი პოტენციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი და უნივერსიტეტის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულები, პოტენციური დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებული და განსაზღვრული საბოლოო შინაარსი, მოცულობა და ერთიანი კონცეფცია შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დიპლომირებული სტომატოლოგი (Doctor of Dental Medicine (DDM) -კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით - (09) ჯანდაცვა, დარგი/სპეციალობა(0911) - დენტალურიმედიცინა) შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, შესაბამისად, ის განსაზღვრულია ***ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების*** მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ***სტომატოლოგია*** ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ 2021 წლის 27 სექტემბრის № 981607 ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 27 ოქტომბერს ჰიბრიდულ ფორმატში, როგორც ადგილზე ვიზიტის განხორციელებით ისე დისტანციურად. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. ყველა დაგეგმილი აქტივობა შესრულდა. დაწესებულებამ შეფასების პროცესში წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლების წინაშე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

შეფასების პროცესი მიმდინარეობდა საქმიანი დისკუსიის, აკადემიურ და თანამშრომლობით ფორმატში, დარგობრივი მსჯელობა იყო მრავალმხრივი და არგუმენტირებული. სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაირა კეთილგანწყობილ და კოლეგიალური მხარდაჭერის ფარგლებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატური ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, მოსაზრებები და კონკრეტული რჩევები შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი

საგანმანათლებლო პროგრამის ***სტომატოლოგია*** აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილი დარგობრივი ექსპერტების მიერ, ამავე ექსპერტების მოსაზრებით ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 2.2

- სასწავლო კურსებს დაემატოს დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის სასწავლო კურსი;

კომპონენტი 2.3

- ზოგიერთ სასწავლო კურსში სალექციო საათები წარმოდგენილი არის მცირე რაოდენობით. სასურველია მათი გაზრდა კრედიტებთან შესაბამისობაში;
- ზოგიერთ სილაბუსში სასურველია აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი მითითებული ლიტერატურის ნაწილში.

კომპონენტი 2.6

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რათა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით მათი პროფილის შესაბამისად.

კომპონენტი 4.1

- სასურველია პროგრამის ამუშავებისთვის ყველა სასწავლო კურსის წამყვან პედაგოგს დარგობრივი კომპეტენციები დადასტურებული ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზიით.

კომპონენტი 4.3

- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ბეჭდური ლიტერატურის გამდიდრება სილაბუსებში ასახული სახელმძღვანელოებით. ასევე კომპიუტერული ინვენტარის გაზრდა სტუდენტური კონტიგენტის შევსების პარალელურად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არგაზიარების შესახებ**

2021 წლის 27 სექტემბრის N981607 ბრძანების საფუძველზე შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი (კორესპონდენცია MES 6210001306710, 03/12/2021) დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ ჯგუფი დამატებით გაეცნო არგუმენტირებულ წერილში მითითებულ ცალკეულ დამატებით მასალას, განიხილა უსდ-ს მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტები და მიიჩნევს, რომ

რეკომენდაცია: ***რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რათა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით მათი პროფილის***

შესაბამისად (კომპონენტი 2.6). - შესაძლებელია გაზიარებულ იქნას უსდ-ს პოზიცია და წინამდებარე დასკვნა გადავიდეს რჩევის რუბრიკაში. ამ ეტაპზე იმდენად აქტიური და ინტენსიურია უსდ-ს თანამშრომლობა პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტთან, რომ სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებსა და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ექნება საშუალება ქმედითად ჩაერთონ გაცვლით პროექტებში. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება კიდე უფრო გაამყარო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტმა (რომლის წარდგენა სააკრედიტაციო პორტთფოლიოში სურვილისდამიხედვით ხდება.)[3] და ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობამ, რომელში დეტალურადაა გაწერილი უნივერსიტეტისათვის ეს არსებითად მნიშვნელოვანი განვითარების ხაზი.

რეკომენდაცია: ***რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ბეჭდური ლიტერატურის გამდიდრება სილაბუსებში ასახული სახელმძღვანელოებით. ასევე კომპიუტერული ინვენტარის გაზრდა სტუდენტური კონტიგენტის შევსების პარალელურად*** (***კომპონენტი 4.3***). - ექსპერტთა ხელთ არსებული ყველა მასალის (მათ შორის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის), საპასუხო წერილში წარმოდგენილი შესაბამისი ჩანაწერებისა და დამატებითი არგუმენტების საფუძველზე, წინამდებარე რეკომენდაცია უფრო განვითარებაზე ფოკუსირებად წინადადებად უნდა იქნას აღქმული არსებული ვითარებიდან (ჯერ კიდევ სრული დატვირთვით არ არის უნივერსიტეტის აქტივობები ამოქმედებული) გამომდინარე. შესაბამისად, ეთანხმება უსდ-ს არგუმენტებს და დასაშვებად თვლის მის გადატანას რჩევების რუბრიკაში. წინამდებარე ცვლილების შეტანა დამატებით გამყარებულია ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ჩანაწერით, კერძოდ, ციფრული სისტემების განვითარება და დიგიტალიზაცია უსდ-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა (რაც ავტორიზაციის ჩანდა (დასკვნის თანახმად) და ამ ეტაპზეც ცხადად იკვეთება ადგილზე მატერიალური რესურსების გაცნობით).

[3] https://kwiu.edu.ge/img/t_2/dan_37.pdf

- **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის პროგრამის საგანმანათლებლო მიზნები სრულად თავსებადია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დეკლარირებულ მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან და მიმართულია მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და კონცეფცია სტრატეგიულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის, კვლევის და სამედიცინო/პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიულ განხორციელებას, ეფუძნება ეროვნულ და საერთაშორისო ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პრინციპს და მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ, პროგრამამ უნდა შეძლოს კურსდამთავრებულთათვის: • ისეთი კომპეტენციების გამომუშავება, რაც უზრუნველყოფს მათ საერთაშორისო დონეზე აღიარებას; • ისეთი ცოდნის, უნარებისა, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების შეძენა/განვითარება, რომელთა საფუძველზე დიპლომირებული სტომატოლოგი შეძლებს სამუშაო პოზიციის დაკავებას სხვადასხვა ქვეყნის სტომატოლოგიურ კლინიკებში; • ისეთი ცოდნის, უნარებისა, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების შეძენა/განვითარება, რომელთა საფუძველზე შეძლებს სწავლის გაგრძელებას სპეციალიზაციისთვის (რეზიდენტურა) ან/და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურა); • ასევე, შეძლებს საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში რეალიზებას, გამუდმებულ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაში დეკლარირებულია, რომ კვსუ-ში შექმნილი ახალი ცოდნის მთავარი სამიზნე არის საზოგადოება, მისი შემდგომი განვითარება და კეთილდღეობა. სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა და უშუალოდ გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიისგან - მომზადდეს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისთვის. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, ითვალისწინებს სტუდენტების, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს და რეკომენდაციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. შეიქმნა და მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, თეორიული და პრაქტიკული სწავლების და მისი შეფასების კომპონენტი, სწავლის შედეგების შინაარსი. საერთაშორისო პარტნიორთან - აშშ-ის ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო სკოლასთან - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან (ატლანტა) მჭიდრო თანამშრომლობა წარმოადგენს ერთგვარ გარანტს პროგრამის კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუდმივი განვითარების და შეძენილი ცოდნის კლინიკურ გარემოში გამოყენების. სწავლებისა და ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა,

კურიკულუმის დიზაინი, სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ემსახურება კრიტიკული აზროვნების, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების, ზოგადტრანსფერული უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კვსუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები; • კვსუ-ის სტრატეგიული გეგმა; • სტომატოლოგიის პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც კურსდამთავრებული ფლობს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და საჭიროებებს, დამსაქმებელთა პროფესიულ მოთხოვნებს. უნივერსიტეტი ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ განვითარებაზე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება და განვითარება სისტემატიზირებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის“ სახით და ეყრდნობა სათანადო მეთოდოლოგიას. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად ჩართულია ხარისხის კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იზიარებს ხარისხის მართვის ციკლურ მიდგომას,

რომელიც შოვჰარტის ციკლის სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული მოდელი შეესაბამება/უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ხარისხის უწყვეტ განვითარებას. სწავლის შედეგების განსაზღვრის შემდეგ შედგენილი კურიკულუმის რუკა მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, ვინაიდან ამ ინსტრუმენტის გამოყენებით შეიძლება განისაზღვროს თუ რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები. ამასთანავე, კურიკულუმის რუკაში ასახულია, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასების წესში განსაზღვრული შედეგების შეფასების გეგმა ასახავს, თუ როგორ ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. პროგრამის ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილია სტუდენტების გამოკითხვის სისტემატურად ჩატარება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას თავისუფლად და ანონიმურად შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები და მოდულები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. პროგრამაში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების შეფასებით გამოვლენილი მიგნებების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან მათი დადარება რეალისტურია და გაზომვადია. სუსტი მხარეების იდენტიფიცირების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ჩართულობით, იღებს შესაბამის ზომებს/გადაწყვეტილებებს და აწარმოებს სასწავლო კურსების ოპტიმიზაციას, რათა მიღწეული იქნას სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შესამოწმებლად გამოყენებულია თეორიული და კლინიკური უნარების დამადასტურებელი გამოცდები, შეფასების ფორმები არის მრავალფეროვანი, ფასდება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, OSCE და OSPE გამოცდების ფორმატებით. ასევე განსაზღვრულია ინტეგრირებული OSCE-ის დანერგვა. სწავლის მეთოდებში აქცენტი კეთდება CBL და PBL სწავლების მეთოდებზე. კურიკულუმის განვითარების და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ემორის სამედიცინო სკოლასთან (აშშ). პროგრამის სწავლის შედეგების შესამოწმებლად გამოყენებულია თეორიული და კლინიკური უნარების დამადასტურებელი გამოცდები, შეფასების ფორმები არის მრავალფეროვანი, ფასდება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, OSCE და OSPE გამოცდების ფორმატებით. ასევე განსაზღვრულია ინტეგრირებული OSCE-ის დანერგვა. სწავლის მეთოდებში აქცენტი კეთდება CBL და PBL სწავლების მეთოდებზე. კურიკულუმის განვითარების და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ემორის სამედიცინო სკოლასთან (აშშ).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა; • საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი • გამოკითვების ფორმები; • „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია, ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სოციალურ ქსელში, უნივერსიტეტისა და პროგრამის გვერდზე. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 52-ე მუხლი). აბიტურიენტების ინტერესთა გათვალისწინებით (უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები) კვსუ-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში და კვსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე პირი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კოეფიციენტებისა და საგნობრივი მინიმალური ბარიერის გათვალისწინებით. საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი ინგლისურ ენაში 80%–ია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკასა და მათემატიკაში - 60%. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად და კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად. ვინაიდან პროგრამაზე სწავლება ინლისურ ენაზე მიმდინარეობს, ამიტომ ეროვნულ გამოცდებზე უცხოური ენის კომპონენტში ინგლისური ენის ჩაბარება აუცილებელი პირობაა. ამასთან, ინგლისური ენის კომპეტენციის ზღვარი პროგრამის დასაწყისიდანვე საკმაოდ მაღალი ნიშნულით განისაზღვრა - 80%. რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტებს - ჩარიცხვა რეგულირდება ცენტრალიზებულად, განათლების სამინისტროს რეგულაციების შესაბამისად: გასაუბრებისა და დოკუმენტაციის ვალიდურობის დადასტურების საფუძველზე. ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხვა დასაშვებია შემდეგი პირებისათვის: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უნივერსიტეტის სისტემატიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ღია კარის დღეებისა და სხვა საორიენტაციო შეხვედების მოწყობა-განხორციელება სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმის მნიშვნელოვანი ფაქტორებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტომატოლოგიის პროგრამა; • საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს 10 სემესტრის მანძილზე, მოიცავს 300 კრედიტს. უსდ-ს დებულების თანახმად 1 ECTS კრედიტი უტოლდება 30 ასტრონომიულ საათს. სტომატოლოგიის საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურიკულუმი შესაბამისობაშია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და სწავლის შედეგებზე. ყოველი მომდევნო ეტაპი, ეფუძნება რა წინა ეტაპს, განავითარებს სწავლის შდეგებს უფრო მაღალ დონეზე. კურიკულუმი ინტეგრირებულია, გათვალისწინებულია არჩევითი კურსები, კვლევის კომპონენტი, ჰუმანიტარული სასწავლო კურსები. სასწავლო კურსები წარმოდგენილია მსხვილი კომპონენტების სახით - ესენია; ✓ ზოგადტრანსფერული კომპონენტი; ✓ ფუნდამენტური მეცნიერების კომპონენტი; ✓ საბაზისო მედიცინის კომპონენტი(რომლის შემადგენლობაში შედის ინტეგრირებული მოდულები); ✓ კლინიკური მედიცინის კომპონენტი; ✓ სტომატოლოგიური კომპონენტი; ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპონენტი. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები, აღინიშნება დისციპლინების კრედიტ-მოცულობები, თუმცა ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ დოკუმენტში მსხვილი კომპონენტების მიხედვით კრედიტების რაოდენობა არ არის დაჯამებული. პროგრამაში გარკვეულწილად ზედმეტადაა წარმოდგენილი მედიცინის მიმართულება. სტომატოლოგიური სასწავლო კურსები წარმოდგენილია 134 კრედიტით. პროგრამა პირობითად წარმოდგენილია ორი ეტაპით: პრეკლინიკური ეტაპი, სადაც იწყება მზადება კლინიკური ეტაპისათვის, აქ ინტეგრაციის ელემენტები წარმოდგენილია ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახით. ამ ეტაპზე იწყება სასწავლო კურსი „პაციენტი, ექიმი, საზოგადოება“, პირველი კლინიკური უნარ-ჩვევების, ეთიკის, პაციენტთან, ჯგუფის წევრებთან და კურსის კოორდინატორთან კომუნიკაციის ჩამოყალიბება. კლინიკური ეტაპი, სადაც ხდება პრეკლინიკურ ეტაპზე მიღებული ცოდნის გამოყენება. ისწავლება, როგორც პროფილური, ისე ზოგადსამედიცინო კლინიკური კურსები. ვიზიტის დროს ექსპერტებს კითხვები გაგვიჩნდა დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის სასწავლო კურსის არ არსებობის გამო. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროფილური სტომატოლოგიური კურსებისათვის მზადებას აქვს სპირალური ხასიათი: გაცნობითი თეორიული კურსი, სიმულაციური ლაბორატორია, პროპედევტიკის კურსები და ბოლოს პრაქტიკული კურსი. საწყის ეტაპზე სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი მცირეა, შემდეგ ეტაპებზე მეტია, თუმცა პროცედურები მიმდინარეობს პროფესორის ზედამხედველობით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შემუშავების დღიდან ხორციელდება უწყვეტი ხარისხის კონტროლი, რომლისთვისაც გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები. შედეგების ანალიზი

წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძვლებს. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს ცვლილებები იქნება მყისიერი, მისი აქტუალურობიდან გამომდინარე. კვსუ-ის სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და აგრეთვე უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმებას შეძენილი კომპეტენციის ფარგლებში. უსდ-ის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი სასწავლო პროგრამა საჯაროა და ხელმისაწვდომი. განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • დაწესებულებებსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; • კურიკულუმის რუქა; • კვსუ-ის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“ • კვსუ-ს ვებგვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასწავლო კურსებს დაემატოს დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის სასწავლო კურსი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია შესაბამისი სილაბუსი და იგი მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო კურსის შესახებ. სასწავლო კურსში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3, 05.01.2007 ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით 1 ECTS უდრის 30 საათს. სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო ისე არასაკონტაქტო (დამოუკიდებელი) საათები. მათი მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა ადექვატურია და შეესაბამება კურსის სპეციფიკას, სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, კურსის მსვლელობისას შესასრულებელი დავალებების მოცულობის სირთულეს და გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდის გათვალისწინებით განსხვავდება და შეესაბამება კურსის შინაარს და სწავლის შედეგებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში 4 კრედიტი მოიცავს მხოლოდ 2 სალექციო საათს, რაც არ არის საკმარისი. სალექციო საათების არასაკმარისმა რაოდენობამ შესაძლოა სტუდენტს შეფერხება შეუქმნას საკითხის სრულფასოვნად გაანალიზებაში, თუმცა მეორეს მხრივ, შესაძლებელია დამატებითი თეორიული საკითხები განხილული იქნას სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობაზე, რაც აღმოფხვრის თეორიული ინფორმაციის შესაძლო დეფიციტს. პროგრამაში ძირითადი აქცენტი კეთდება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე, თუმცა სტუდენტთა თეორიულ ცოდნასაც დიდი ყურადღება ეთმობა. სასწავლო პროგრამა თანამედროვეა და შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. ამის დამადასტურებელია ინტეგრირებული სასწავლო კურსების არსებობა პროგრამაში. გამოყენებულია როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური და სპირალური ინტეგრაცია. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახით. ელექტრონულ ბაზაში ყველა წიგნი არის ატვირთული. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში ტექნიკური ხარვეზი - მითითებულია ძველი ლიტერატურა. იგივე თეორიული მასალის შემცველი თანამედროვე ლიტერატურა ასევე მითითებულია იმავე სილაბუსებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს არის ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. კლინიკურ სასწავლო კურსებში სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული აქტივობის დღიური - პორტფოლიო, სადაც გაწერილია პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ სავალდებულო მანიპულაციების ჩამონათვალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • კურიკულუმის რუკა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ზოგიერთ სასწავლო კურსში სალექციო საათები წარმოდგენილი არის მცირე რაოდენობით. სასურველია მათი გაზრდა კრედიტებთან შესაბამისობაში; • ზოგიერთ სილაბუსში სასურველია აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი მითითებული ლიტერატურის ნაწილში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას; პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება სწავლების საწყის საფეხურებზე საფანტომო კლასებში, სტომატოლოგიურ ფანტომ-მულაჟებზე ხორციელდება, შემდგომ, მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, კლინიკური მანიპულაციების გაღრმავება უკვე დეპარტამენტების სტომატოლოგიურ სავარძლებზე პაციენტების მიღებით მიიღწევა (მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, კომპეტენციის ფარგლებში). პროგრამის პრეკლინიკურ ფაზაში კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ძირითადად კურსი ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ უზრუნველყოფს. პრეკლინიკური კურსის დროს გამოყენებულია სწავლება სიმულაციური პაციენტებით შედეგად კი სტუდენტს შეუძლია: ანამნეზის შეკრება მოზრდილ, პედიატრიულ და ხანდაზმულ პაციენტებში; ორგანოთა სისტემების ფიზიკური გასინჯვა; პირველადი დახმარების გაწევა; ტრავმის მართვის საწყისები; სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების უნარები მანეკენზე. კლინიკურ ეტაპზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა კურაციებს აქვთ. ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი სტუდენტისთვის წინასწარ ცნობილია, თითოეული მანიპულაციის ჩატარების შემდეგ მას სასწავლო კურსის პრაქტიკულ კომპონენტში კონკრეტული ქულა ეწერება. სტუდენტის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება გამოცდაზეც ხდება, ამის ერთ-ერთი მაგალითია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა OSCE და OSPE (საფანტომო კურსებზე). დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სურვილისამებრ ყოველწლიურად სხვადასხვა კლინიკაში გაიარონ სტაჟირება - პრაქტიკა. პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას; უნივერსიტეტის სასწავლო, კლინიკური და კვლევითი აქტივობები ხორციელდება მის მფლობელობაში არსებულ ან მემორანდუმებით გაფორმებულ კლინიკებში და სასაწავლო კვლევით ცენტრებში. კლინიკური ბაზები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის და ყოველმხრივ მოსახერხებელია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ამასთან უნდა აღინიშნოს , რომ კლინიკურ სასწავლო ბაზებზე, მუშაობენ და პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელბისას ,თუ სტაჟირების შემთხვევაში საერთაშორისო სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან მაღალკვალიფიციური კადრებით. ტრანსფერული უნარების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პროგრამის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტში, როგორიცაა კურსის კოორდინატორის ინსტიტუტი. თითოეულ სტუდენტს ჰყავს ინდივიდუალური მრჩეველი/მენტორი კურსის კოორდინატორის სახით (თითოეულ კოორდინატორი პასუხისმგებელია დაახლოებით 50 სტუდენტზე), რომლებიც თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალურად მუშაობენ და ეხმარებიან მათ პიროვნული უნარებისა და პროფესიულ განვითარებაში. ასევე მათი მხარდაჭერით სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთ კარიერულ ნაბიჯებზე ზრუნვა. სტუდენტის სამეცნიერო უნარების განვითარებას, სავალდებულო კურსების გარდა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დეპარტამენტებთან არსებული სამეცნიერო წრეებსა და ჟურნალ-კლუბებში სტუდენტების მუშაობა. დეპარტამენტებში დამუშავებული საუკეთესო შრომები სტუდენტებს მოსახსენებლად გამოიტანენ სტუდენტურ, ადგილობრივ და საერთაშორისო

კონფერენციებზე. ზემოაღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში. მომავალში პროგრამის სტუდენტებიც აქტიურად ჩაერთვებიან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტომატოლოგიის პროგრამა; • პროგრამის სილაბუსები; • ხელშეკრულებები/მემორანდუმები კლინიკებთან; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სასწავლო დისციპლინები მოიაზრებენ სწავლების სხვადასხვა ფორმებს და მეთოდებს: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, დემონსტრირების მეთოდები, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური შემთხვევის შესწავლა, პრაქტიკული მეცადინეობები, სწავლება სტანდარტიზებული პაციენტის, სიმულატორის და მულაჟების საშუალებით. ავადმყოფის საწოლთან სწავლება, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები სწავლების ფორმები და მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევადობას. შედგენილია სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. მათთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-გრაფიკი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტომატოლოგიის პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • კვსუ-ის სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კვიუ-ს სტომატოლოგიის პროგრამაზე სტუდენტთა მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. თითოეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამისაგან. კვიუ-ში არსებული მიდგომის თანახმად სწავლის შედეგის შეფასების სისტემა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს (ზეპირი/წერითი გამოცდები, პრაქტიკული სამუშაო, გამოკითხვა), რომელთათვისაც გამოიყენება რიგი შეფასების მეთოდებისა: MCQ და ღია ტესტები, რეფერატი, პრეზენტაცია, ჯგუფური სამუშაო, OSCE, OSPE, PICO პრეზენტაცია, კლინიკური შემთხვევის განხილვა. თითოეულ მეთოდს გააჩნია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც გამჭირვალეა და ასახულია ყოველი კურსის სილაბუსში. სტუდენტს წინასწარ აქვს წვდომა სილაბუსებზე და ინფორმირებულია დადგენილი პროცედურების შესახებ. აღსანიშნავია, რომ რიგ მოდულებში, როგორც კურსის მიმდინარეობისას, ასევე შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე დანერგილია სწავლების შეფასების ინოვაციური მეთოდები. მაგალითად, კურსში „პაციენტი, ექიმი, საზოგადოება“ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) გამოიყენება არა მხოლოდ ფინალური, არამედ შუალედური შეფასებისთვისაც და, აგრეთვე, სწავლების ერთ-ერთ მეთოდად, რაც სტუდენტს დაეხმარება კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებასა და გამოცდის სპეციფიკის უკეთ გაცნობიერებაში. მოდულების დიდ უმრავლესობაში, როგორც პრეკლინიკურ, ასევე კლინიკურ ნაწილში ხდება სტუდენტის პროფესიონალიზმის შეფასება ქულობრივად და ფორმაციულად, დახასიათების სახით. აღნიშნული დახასიათება სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს უკუკავშირი საკუთარი საქმიანობის შესახებ და არასასურველი მონაცემების შემთხვევაში დაისახოს გამოსწორების გზები კურსის

ხელმძრვანელებისა და კოორდინატორის ჩართულობით. აგრეთვე, დახასიათება საბოლოოდ აისახება სტუდენტის პორტფოლიოში, რომელიც ინტეგრირებული უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში.
კლინიკურ საგნებში პრაქტიკული აქტივობის შეფასებისთვის სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების (WPBA) მეთოდი გამოიყენება. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი მოდულების სილაბუსებში. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა მინიმუმ 27 ქულა, ხოლო გამოცდის შეფასება დადებითია 24 ან მეტი ქულის მიღების შემთხვევაში. სტუდენტებს აქვთ საშუალება შედეგის გასაჩივრებისა. აღნიშნულ პროცესს არეგულირებს შესაბამისი წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს საშუალება აქვს ქულის გაცნობიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება ელექტრონულად ან მატერიალური ფორმით. განცხადების საფუძველზე შესაბამისი დარგის სპეციალისტი ვალდებულია საჩივარს უპასუხოს 3 დღის ვადაში. აღნიშნული წესი გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტის მიღწევისა და შეფასების წესი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რათა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით მათი პროფილის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, ინტერვიუების მიხედვით დგინდება, რომ უნივერსიტეტი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებული გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებულ საკითხებსა და ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაზე სტუდენტებს კონსულტაციის მიღება შეუძლიათ სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახურისაგან, კურსის კოორდინატორებისგან, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დეკანის ოფისისაგან. თითოეული კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება დაახლოებით 50 სტუდენტზე, რომლებთანაც ყოველ სემესტრში წინასწარ დაგეგმილი 2 შეხვედრა გაიმართება მათ უკეთ გასაცნობად და ინდივიდულარი მხარდაჭერის უკეთ აღმოსაჩენად. სამსახურში დასაქმებული ყველა პერსონალი კვალიფიციურია, მაღალ დონეზე ფლობს ინგლისურ ენას და მზად არის შეუფერხებლად ითანამშრომლოს საერთაშორისო სტუდენტებთან. პირველკურსელებისთვის უნივერსიტეტი ასევე გეგმავს ჩაატაროს საორიენტაციო კვირეული, რომელშიც ისინი გაეცნობიან უსდ-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და პერსონალს, დაათვალიერებენ ქალაქს და მიიღებენ მათი უცხო გარემოსთან ადაპტაციისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. ვინაიდან უნივერსიტეტს ჯერ კონტიგენტი არ ჰყავს პროგრამის შემუშავებაში სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ასევე არ ყოფილან ჩართული სტუდენტები სხვა უნივერსიტეტიდან, რაც ექსპერტთა აზრით დადებითი პრაქტიკა იქნებოდა. კარიერული მხარდაჭერის სერვისების ფუნქციას კვიუ-ში ასრულებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობას. იგეგმება ტრენინგების ჩატარება რეზიუმეს მომზადებასა და ინტერვიუების ეფექტურად წარმართვის მიზნით. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდეტებისათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებობა ძირითადად დაკავშირებულია კვიუ-სა და ემორის უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებულ მემორანდუმთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში არ ხორციელდება სტომატოლოგიის პროგრამა, რაც პროფილურ საგნებში საერთაშორისო გამოცდილების მიღებას ვერ უზრუნველყოფს. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, მათ შორის სტომატოლოგიის მიმართულებით, თუმცა ამ ეტაპზე ეს ხელშეკრულებითა ან მემორანდუმით გამყარებული არ არის. ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, უსდ-მ აქტიურად უნდა განაგრძოს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის დივერსიფიკაციისათვის, განსაკუთრებით სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების ასამაღლებლად. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებისთვის გამოყოფილია საკონსულტაციო საათები. მათი ოდენობა, ინტერვიუების მიხედვით, განსაზღვრულია ორი საათით კვირაში, თუმცა აღსანიშნავია რომ ეს ინფორმაცია არ არის ასახული კურსის სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • კვიუ-სა და ემორის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: •

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს დარგის ღირებულ და მრავალწლიან თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას, გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამაში ჩართული პერსონალის უმეტესობა არის შესაბამისი მიმართულების დოქტორი (ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი - უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად), იმყოფება აკადემიურ თანამდებობაზე და აფილირებულია უნივერსიტეტთან აფილირებულია 5 პირი.

მოწვეული პერსონალი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებითაა წარმოდგენილი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია მათი პირადი საქმეებით დასტურდება. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა.

სტუდენტთა კონტიგენტის, მოწვეული და აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემდეგი ნიშნულები, რომლებიც სრულად კმაყოფილდება უნივერსიტეტის მიერ:

- აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტინგენტის შესაძლო ზღვრული რაოდენობისა და თანაფარდობა არ აღემატება 1/12-ს.
- მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტინგენტის

შესაძლო ზღვრული რაოდენობისა და თანაფარდობა არ აღემატება 1/12-ს.
- თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრულია მინიმუმ ასოცირებული პროფესორი, მინიმუმ ერთი აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- აკადემიურ პერსონალთან მიმართებით მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არ აღემატება 1/4-ს;
- აფილირებულ აკადემიური პერსონალის თანაფარდობა ადეკვატურია უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობასთან და არ აღემატება 1/50-ს.
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.
ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.
სულ პროგრამაში ჩართულია 86 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგან 46-ს აქვს აკადემიური ხარისხი, 40 მოწვეულია, უნივერსიტეტთან აფილირებულია 5 პირი.
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა:
- აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტინგენტის შესაძლო ზღვრული რაოდენობისა და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/12-ს;
- მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტინგენტის შესაძლო ზღვრული რაოდენობისა და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/12-ს.

პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორია.
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ამოცანაა უნივერსიტეტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც ინტერვიუს შედეგებიდან დადასტურდა და გამოვლინდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მათი ნიშნეული ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
- შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება;
- შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პერსონალის რაოდენობის სტატისტიკური მაჩვენებლება;
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია პროგრამის ამუშავებისთვის ყველა სასწავლო კურსის წამყვან პედაგოგს დარგობრივი კომპეტენციები დადასტურებული ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზიით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; შეფასება ხორციელდება უსდ-ში დადგენილი წესის მიხედვით. პერსონალის შეფასებაში მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტებიც. შეფასდება სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და კლინიკური აქტივობები. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს. აკადემიური და მოწვეული პედაგოგებისათვის 2020 წლის დეკემბრიდან დღემდე ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი . გამოვყოფთ ბოლო დროინდელ აქტივობებს: ✓ კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებში; ✓ სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები, კლინიკაში საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება, კლინიკური სწავლების თავისებურებები, სტუდენტის კლინიკური აქტივობა, შეფასების მეთოდები, უკუკავშირი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დიდია უნივერსიტეტის ინტერესი ამერიკული სამედიცინო განათლების მიმართ. რადგან ემორის სამედიცინო სკოლას არ გააჩნია სტომატოლოგიის მიმართულება, იგეგმება წამყვან სამედიცინო სკოლებში, სტომატოლოგიის პროგრამაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გაცვლითი პროექტები აკადემიური და კვლევითი მიმართულების განვითარების მიზნით. უნივერსიტეტი გეგმავს საჭიროების შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას. პროფესიულ გადამზადებას, გადამზადებას კვლევისა და სწავლების მეთოდებში, წარმატებული სპიკერების და უცხოელი ექსპერტების მოწვევას. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობას, ემორის უნივერსიტეტში მივლინებას პროფესიული განვითარებისათვის, უცხოენოვანი კურსების დაფინანსებას. სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ფაკულტეტის ადამიანური რესურსების სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით განვითარების პროექტების დაფინანსებას, რომლისთვისაც ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება ხდება ღია, საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება; • შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა; • სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები; • შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევების მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაფინანსების წესი; • შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები; • მემორანდუმები ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან; • ბიუჯეტი, • შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი;

- შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა ელექტრონული და საერთაშორისო ბაზებით, სასწავლო ლაბორატორიები, საგამოცდო ცენტრი, სიმუალციური ცენტრი, რომელიც მოიცავს სასწავლო კომპონენტებით გათვალსიწინებული მანეკენებს და სიმულატორებს. უნივერსიტეტის კამპუსში მდებარე ცენტრი ძირითადად გამოიყენება პროგრამის არაპროფილური მოდულების განხორციელებისათვის (პედიატრია, გადაუდებელი მედიცინა და სხვა). უნივერსიტეტს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე 8 წლის ვადით საიჯარო მფლობელობაში აქვს ჯ. კახიძის #2 და #3-ში მდებარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აღჭურვილია პროგრამის პროფილური ნაწილის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. ფართში განთავსებულია 24 ბორმანქანა და სტომატოლოგიური სავარძელი, რაც პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას იძლევა.

კლინიკური სასწავლო კურსები ხორციელდება სხვადასხვა კლინიკის ბაზაზე სახელშეკრულებო პირობებით.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით, რომელზედაც სტუდენტს წვდომა უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში ბეჭდური ლიტერატურის დიდი რაოდენობა არ არის, რაც შესაძლოა სტუდენტისათვის დისკომფორტის მიზეზი გახდეს. ბიბლიოთეკის სივრცე მოიცავს საკონფერენციოს სივრცესა და სამკითხველო დარბაზს, რომელიც უერთდება სტუდენტურ ლაუნჯს.

სტუდენტს საშუალება აქვს ლიტერატურა გამოიყენოს აღნიშნულ სივრცეშიც. ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერთა რაოდენობა კონტიგენტის სრულად შევსების შემთხვევაში ექსპერტთა პანელის აზრით, შესაძლოა, ვერ აღმოჩნდეს საკმარისი, განსაკუთრებით გამომდინარე იქიდან რომ ბეჭდური ლიტერატურის რაოდენობა ძალზე შეზღუდულია. ბიბლიოთეკაში ბეჭდურ ლიტერატურაზე წვდომა თავისუფალია და არ საჭიროებს ფორმალურ პროცედურებს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული ბაზები: MedicineNet, Questia, Mepix, Emedicine, British Medical Journal და სხვა. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია (იძებნება კონკრეტული მითითებული ლიტერატურა) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა, გამოთქვა კონკრეტული რეკომენდაცია ბეჭდურ სასწავლო მასალებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ბიბლიოთეკის კატალოგი; • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა;
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ბიბლიოთეკის ბეჭდური ლიტერატურის გამდიდრება სილაბუსებში ასახული სახელმძღვანელოებით. ასევე კომპიუტერული ინვენტარის გაზრდა სტუდენტური კონტიგენტის შევსების პარალელურად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში „სტომატოლოგია“ გათვალისწინებული ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურების გარდა ბიუჯეტში გაწერილია ხარჯები კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირებისათვის, სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის, საბიბლიოთეკო რესურსის განახლებისათვის, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებებისათვის. სამედიცინო აპარატურისა და მასალების შეძენისათვის. გათვალისწინებულია 50000 ლარი. დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი ზრდადია: 2022 წლისათვის შეადგენს 781200,00 ლარს, ხოლო 2023 წლისთვის - 1142400,00 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი რეალისტური და მიღწევადია. იგი ითვალისწინებს პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ და დამატებით ხარჯებს, ასევე გარემოს არასტაბილურობასა და

რისკებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის წესი; • უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა; • უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების ოქმი შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური იცნობს და ეყრდნობა ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო რეგულაციასა და დოკუმენტს, შემუშავებული აქვს საუნივერსიტეტო სივრცეში პროცედურებისა და პროცესების აღმწერი და მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებისა და გაღრმავებისთვის. საუნივერსიტეტო ხარისხის მართვის სამსახური ზრუნავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიახლეებისა და ინოვაციების დაგეგმვისა და განვითარებისათვის, აფასებს და აანალიზებს რა კონკრეტულ პროცესებს, მაქსიმალურადაა ჩართული წინამდებარე პროცესების განვითარებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებლობას იღებს ცალკეული აქტივობებისა და პროცესების მართებულად წარმართვაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს ცალკეული დოკუმენტები, რომელიც აწესრიგებს და არეგულირებს შიდა აკადემიურ პროცესებს, მათ შორის, *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი,* სადაც დეტალურად არის აღწერილი სამსახურის საქმიანობის არეალი, ფუნქციები, მიზნები და ამოცანები; ზემოხსენებული საუნივერსიტეტო რეგულაციები მომზადებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების საფუძველზე, რაც მიმართულია ინსტიტუციური ხარისხის მუდმივ განვითარებაზე. წინამდებარე სამოქმედო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და უსდ-სთვის წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ასევე ხელმძღვანელობს სამსახური. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელობა და ფუნქცია კარგად სჩანს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, ამასთან სამსახური გარკვეულწილად მხარს უჭერს და მონიტორინგის ფუნქციით თანამშრომლობს საუნივერსიტეტო სტრუქტურებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი.

შიდა ხარისხის შეფასება აგებულია კონკრეტული მექანიზმების საფუძველზე, რაც გულისხმობს უწინარესად საგანმანათლებლო პროგრამების, პროცესის, აკადემიური პერსონალის და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესებას. სამსახური წინამდებარე პროცესებს აწყობს PDCA-ის პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-ირეაგირე.

სააკრედიტაციო პროცედურისთვის შემუშავებულმა საგანმანათლებლო პროგრამის ***სტომატოლოგია*** საინიციატივო ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ბაზრის კვლევა, რომელიც წარმოდგენილია სააკრედიტაციო პორტფოლიოში; ის ამომწურავი და მიზანმიმართულად შესრულებული დოკუმენტია, რაც ქმნის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნის სრულყოფილ სურათს, ვინაიდან წინამდებარე კვლევის ფოკუსში მოექცა მონაცემებზე დაკვირვება მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს რაკურსში, დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევა. კვლევის შედეგად გამოკვეთილი ორი უმნიშვნელოვანესი შედეგი - *თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სწავლების გაუმჯობესება* და *უფრო მეტი კლინიკური პრაქტიკა* - განხილულ იქნა პროგრამის საინიციატივო

ჯგუფის მიერ და დაიგეგმა მათი ეტაპობრივი განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც ამ ეტაპზე პროგრამაში იმპლემენტირებულია შესაბამისი მოცემულობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებამდე აქტივობის გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურს შემუშავებული აქვს ფაქტობრივად ყველა ის ქმედითი მექანიზმი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას და მასში თანამედროვე მოთოვნების ასახვას. მსგავს მექანიზმთა შორის შიდარეგულაციის დოკუმენტში დასახელებულია: *დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვა*; *სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი; სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასება; პერსონალის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზი; სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიური ანგარიშების ანალიზი; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და ანალიზი.* შესაბამისად, საუნივერსიტეტო ხარისის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დაკვირვებისა და შეფასების ფოკუსშია: *სწავლა-სწავლება, კვლევა, ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა, მართვის პროცესები, საუნივერსიტეტო სერვისები, უნივერსიტეტის მესამე მისიის განორციელების მიზნით შესრულებული აქტივობები და ინტერნაციონალიზაცია.* უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წინამდებარე პროცესების წარმართვისათვის შემუშავებული აქვს კონცეფცია და ამასთან ინფიკატორების ბადე, რომლის მიხედვით უკვე მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება. მოცემული პროცესები სამსახურს აგებული აქვს გუნდური მუშაობის პრინციპზე და მასში აქტიურადაა ჩართული ფაქტობრივად ყველა საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეული. სამუშაო პროცესები მისდევს ***ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის*** დოკუმენტით გაწერილ კონცეფციას, სამუშაო პროცესში მომზადებული მასალის დამუშავებისა და ანალიზის შედეგების გაზიარება ხდება უნივერსიტეტის ყველა რგოლისადმი, იგეგმება შემხვედრი აქტივობები და მათი შემდგომი განხორციელების მიზნით სამუშაო პროცესში ერთვება მიზანმიმართულად შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულები.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, შიდა მექანიზმებით კურიკულუმის განივთარება მიმდინარეობს მუდმივად, ცალკეული დასაბუთებული ცვლილებების საფუძველზე, რასაც შესაძლებელია განაპირობებდეს:

- პროგრამით დაინტერესებული მხარეების: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ცალკეული არგუმენტირებული მოსაზრებები;
- პროგრამაში ჩართული განმახორციელებლი პერსონალის ინიციატია;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში მიმდინარე სიახლეები;
- პარტნიორი უნივერსიტეტების, ორგანიზაციებისა და უცხოელი სპეციალისტების მხრიდან მომდინარე და გაზიარებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მარეგულირებელ დოკუმენტებში დეტალურად, გაზიარებისა და თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით შემუშავებულია ცალკეული საუნივერსიტეტოს პროცედურები და პროცესების მართვის მექანიზმები. უნივერსიტეტში მიმდინარე ხარისხის კულტურის განმავითარებელი პროცესები ეფუძნება კოლაბორაციულ პრინციპს, რაც ხელს უწყობს ყველა საუნივერსიტეტოს ერთეულის ჰარმონიულ თანამშრომლობას.

ვიზიტის პროცესში მიმდინარე ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ინტერვიურთა ჯგუფები (მათ შორის დამსაქმებლებც) აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის პროცესში. დეტალურად და სრულყოფილად ფლობდნენ ინფორმაციას მათთვის მნიშვნელოვანი სეგმენტების შემუშავებაზე პროგრამის ფარგლებში, მათი მსჯელობა ეფუძნებოდა ინფორმაციულობის მაღალ ხარისხს არა მატო დარგობრივ სფეროში, არამედ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში.

შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტიტუცია შიდა შეფასებას აღიქვამს, როგორც ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ კარგ შესაძლებლობად და გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები;

- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად მიჩნეულია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის განხორციელებისას. წარმოდგენილი პროგრამა სტატუსის თანახმად არის ახალი პროგრამა. პროგრამის შემუშავეას წინ უსწრებდა ინსტიტუციის ავტორიზაცია, რომლის შედეგები გარკვეულწილად ხელშემწყობ პირობად შეიძლება ჩაითვალოს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მიქანიზმები, კერძოდ,

- ✓ ავტორიზაციის, აკრედიტაციის, მონიტორინგის პროცესების ფარგლებში გაუმჯობესებების შესაძლებლობების გამოვლენა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება;
- ✓ გარე (დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ) შეფასებების ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციების შეფასების საფუძველზე გაუმჯობესებების შესაძლებლობების გამოვლენა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ამ ეტაპზე უსდ-ს პროგრამის მომზადების პროცესში ჩართული ჰყავდა უცხოელი დარგის ექსპერტები, რომელთა მხრიდან ხორციელდებოდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, მაგრამ შემდგომში პროგრამის განმახორციელებლებს დაგეგმილი აქვთ პროგრამის წარდგენა გარე შეფასების მიზნით დარგის ექსპერტებისთვის. გარდა ამისა, მათთან ინტერვიუებმა აჩვენეს მსჯელობის პროცესში ცალკეული რჩევებისადმი აკადემიური პერსონალის დაინტერესება და მათი მხრიდან კონკრეტული ხედვები მოცემული შეთავაზებებისადმი. კერძოდ, გარე შეფასებების შედეგად მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აქტიურად იქნება გამოყენებული პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების ინიცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების გარკვეული ფაზების მომზადდება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად უსდ-ს დაგეგმილი აქვს პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ცალკეული მექანიზმები ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას უწყვეტ რეჟიმში სხვადასხვა რაკურსითა და თემატური ხაზის განვითარებით, რაც განპირობებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მრავალგანზომილებიანობით. შედეგები გახდება კურიკულუმში ცვლილების შეტანის საფუძველი მისი გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება განსაზღვრული პერიოდულობით სხვადასხვა ჩართული მხარის მიერ. ტარდება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვა (წარმოდგენილია კითხვარები), რომლის თანახმადაც ფასდება პროგრამა ჰოლისტურად; მონიტორინგის პროცესი დააკვირდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს, მომზადდება ანგარიში შემდგომი გაზიარებისა და ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით; მონიტორინგს დაექვემდებარება უცილობლად სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების მიღწევის ხარისხი, ვინაიდან ამ ეტაპზე წინამდებარე ნიშნულები სრულიად პოტენციურია და საჭიროა მათზე დეტალური დაკვირვება; მონიტორინგის ფარგლებში ასევ მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის ანალიზიც.

ანალიზის საფუძველზე და შედეგების მიხედვით დაიგეგმება გასაუმჯობესებელი ღონისძიებები ცალკეული საუნივერსიტეტო ერთეულების მონაწილეობით, მათ შორის პროგრამაში ცვლილების შეტანაც.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ის, ბუნებრივია მონიტორინგის პროცესს ვერ დაექვემდებარებოდა, თუმცა უსდ-ს შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლის თანახმადაც განხორციელდა ცალკეული კვლევა. პროგრამის სრულყოფილი ჩართვა მონიტორინგის

პროცესში აკრედიტაციის შემდგომ განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების სრული დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები; • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ვლადიმერ მარგველაშვილი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ქიმერიძე
სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე ბეშკენაძე
სახელი, გვარი, ხელმოწერა



ვერა ხუნძაკიშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა



დავით მაკასარაშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა